საქართველოს მექანიკოსთა კავშირის
VIII ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია

ეძღვნება ილია ვეკუას დაბადებიდან 110 წლისთავს

2017 წლის 27.09-29.09 ტარდება საქართველოს მექანიკოსთა კავშირის VIII ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია ქ. თბილისში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში.

კონფერენციის თემატიკაა:

1. მყარ დეფორმად სხეულთა მექანიკა;
2. ჰიდროაერომექანიკა;
3. დრეკად მყარ და თხევად გარემოთა ურთიერთქმედების პრობლემები;
4. გამოყენებითი მექანიკა;
5. ანალიზის მონათესავე საკითხები.

კონკრეტული სექციების ორგანიზებასთან დაკავშირებით წინადადებების წარმოდგენა უნდა მოხდეს 1 ივლისამდე.

მონაწილეობის მიღების მსურველებმა ა.წ. 15 აგვისტომდე უნდა მიაწოდონ მოხსენების სათაური და მოკლე ანოტაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე, თითოეული არაუმეტეს ერთი გვერდისა აკრეფილი MSWord-ში) ბაკურ გულუას (e-mail: geomechu@gmail.com.ru). ივარაუდება მოხსენებათა ანოტაციების წინასწარი გამოცემა და კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენებების შერჩევით, რეცენზირების შემდეგ, გამოქვეყნება ჟურნალებში: Applied Mathematics, Informatics, and Mechanics (http://www.viam.science.tsu.ge/Ami/Main.htm) და Bulletin of TICMI (http://www.viam.science.tsu.ge/others/ticmi/blt/bulletin.htm).

კონფერენციის სარეგისტრაციო შესატანია 80 ლარი (კავშირის წევრებისათვის 50 ლარი).

რეგისტრაცია ჩატარდება 26 სექტემბერს 13:00 საათიდან 17:00 საათამდე და 27 სექტემბერს 11:00 საათიდან თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში. სხდომები ჩატარდება 27, 28 და 29 სექტემბერს 14:00 საათიდან. სასურველია მიმოხილვითი მოხსენებების გაკეთება, რომელთა ხანგრძლივობა იქნება 35 წუთი. კონკრეტულ შედეგთან დაკავშირებული მოხსენებები იქნება 20 წუთის ხანგრძლივობის.

კონფერენციის ვებ-გვერდის მისამართია:

http://www.viam.science.tsu.ge/others/gnctam/annual8.htm